

## შეცდომების გასწორება

1. პუნქტუაციური შეცდომაა „ჯეკ ლინდონი ცნობილი ამერიკელი მწერალი, ბედ-ილბლის საძებნელად...“ უნდა იყოს „ჯეკ ლინდონი, ცნობილი ამერიკელი მწერალი, ბედ-ილბლის საძებნელად...“, რადგან „ცნობილი ამერიკელი მწერალი“ დანართია და მას თავსა და ბოლოში წინადადების სხვა წევრებისგან მძიმეებით გამოვყოფთ.
2. მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომაა ციებცხელება, უნდა იყოს ციებ-ცხელება, რადგან ეს ანტონიმური კომპოზიტია, რომელსაც დეფისი სჭირდება.
3. შეცდომაა „... ათასი მისთვის შეუფერებელი საქმე ეს იყო ჯეკის...“, უნდა იყოს „...ათასი მისთვის შეუფერებელი საქმე -- ეს იყო ჯეკის...“, რადგან ეს შერწყმული წინადადებაა, რომელსაც ჩამონათვალი იწყებს და მას მოჰყვება გამაერთიანებელი სიტყვა, ასეთ კონსტრუქციაში გამაერთიანებელი (ეს იყო) სიტყვის წინ ტირე იწერება.
4. პუნქტუაციური შეცდომაა „...თუმცა, როგორც მისი შემოქმედების მკვლევრები მიიჩნევენ რომ არა ის წლები...“, უნდა იყოს „...თუმცა, როგორც მისი შემოქმედების მკვლევრები მიიჩნევენ, რომ არა ის წლები...“, რადგან ეს წინადადებაში ჩართულია, განკერძოება, რომლის ამოღებითაც სინტაქსი არ დაირღვევა და მას წინადადების სხვა წევრებისგან მძიმეებით გამოვყოფთ.
5. პუნქტუაციური შეცდომაა „...მწერალი ვერ შექმნიდა ასეთ დაუვიწყარ მოთხრობებს „თეთრი ეშვი...“, უნდა იყოს „...მწერალი ვერ შექმნიდა ასე დაუვიწყარ მოთხრობებს: „თეთრი ეშვი...“, რადგან ეს შერწყმული წინადადებაა, რომელიც გამაერთიანებელი სიტყვებით (ასეთ დაუვიწყარ მოთხრობებს), იწყება და მათ ჩამონათვალი მოსდევს. ასეთ კონსტრუქციაში გამაერთიანებელ სიტყვებს ორწერტილი უნდა მიჰყვეს.
6. პუნქტუაციური შეცდომაა წინაპართა ძახილი, უნდა იყოს „წინაპართა ძახილი“, რადგან ეს ნაწარმოების სათაურია, სათაურები კი მიეკუთვნება საკუთარ სახელთა იმ ჯგუფს, რომელსაც ბრჭყალები სჭირდება.
7. სტილისტური ხარვეზია „ის სულ შიშის ქვეშ იყო“, უნდა იყოს „მას სულ ეშინოდა“. ეს რუსული ენიდან გადმოსული კალკია (под страхом).

8. სტილისტური ხარვეზი, რუსულიდან გადმოსული კალკია (принял решение) მიიღო გადაწყვეტილება, უნდა იყოს გადაწყვიტა.
9. სინტაქსური შეცდომაა ბევრი მისი მეგობარი, უნდა იყოს მისი ბევრი მეგობარი, რადგან რამდენიმე მსაზრვრელის რიგში რიცხვით სახელს ყოველთვის წინ უსწრებს ნაცვალსაელი.
10. პუნქტუაციური შეცდომაა „...ჯეკი, ასეთი უცნაური და გაბედული ალასკამ გამოაწრო...“. უნდა იყოს „...ჯეკი, ასეთი უცნაური და გაბედული, ალასკამ გამოაწრო...“, რადგან „ასეთი უცნაური და გაბედული“ განკერძოებული განსაზღვრებაა, რომელიც წინ კი არ უსწრებს არსებით სახელს, არამედ მოსდევს და მას ორივე მხრიდან მძიმეები სჭირდება.
11. სტილისტური ხარვეზი ატროფიაა „ერთ-ერთ ბოტცვზე მაღლა ასულა“, უნდა იყოს „ბორცვზე ასულა“, რადგან ზმნისწინი ა აქ მიმართულების (ზევით) აღმნიშვნელია და სიტყვა ზევით ატროფირებულია (მკვდარია).
12. ვ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომაა ვარ-ო, უნდა იყოს ვარო, რადგან სხვათა სიტყვათა აღმნიშვნელ ნაწილაკ ო-ს დეფისით გამოყოფა არ სჭირდება.
13. სტილისტური ხარვეზი პარონიმია „მისი სახელობის ორდერი“, უნდა იყოს „მისი სახელობის ორდენი“.ეს მსგავსი ბგერების სიტყვები სხვადასხვა მნიშვნელობისაა, ორდენი ჯილოს ნიშნავს, ორდერ ი-- იურიდიულ წერილს.
14. სინტაქსური შეცდომაა „უამრავი ამერიკელი და არაამერიკელი მწერლებისთვის“, უნდა იყოს „უამრავი ამერიკელი და არაამერიკელი მწერლისთვის, რადგან უამრავი რიცხვითი სახელია და მასთან წინადადების სხვა წევრები მხოლოდით რიცხვში დგას.
15. მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომაა კაფის, უნდა იყოს კაფეს, რადგან ე-ზე დამთვრებული უცხოური სახელები, ქართულისგან განსხვავებით (ღობის), არ იკვეცება.